

Translated by Natalia Sukiasyan Producing the CD by Archil Tsagareli; The actors
Author: Nana Shavtvaladze

მოსმინეთ
ქართულ
დიალოგებს
Listen
Georgian Dialogues



© ნანა შავთვალადზე, 2007, თბილისი
მოსმინეთ ქართულ დიალოგებს II
Listen Georgian Dialogues II
ენის სკოლა, თბილისი, საქართველო
Language School, Tbilisi, Georgia
www.lsgeorgia.com

Listen
Georgian Dialogues

მოსმინეთ
ქართულ
დიალოგებს

2



CD

I	– Have you been in Georgia? -----	Track 2
II	– One family's life -----	Track 4
III	– Furniture -----	Track 6
IV	– Clothing -----	Track 8
V	– Pets -----	Track 10
VI	– Museums -----	Track 12
VII	– One day -----	Track 14
VIII	– Office Supplies -----	Track 16
IX	– Orders -----	Track 18
X	– Booking a Hotel -----	Track 20
XI	– Car Repair -----	Track 22
XII	– At the sea -----	Track 24
XIII	– Signboards -----	Track 26
XIV	– Traditionals Souvenirs -----	Track 28
XV	– Morning dress up (toilet) -----	Track 30
XVI	– Characteristics and Skills -----	Track 32

საპარჯიშო #9

მოუსმინეთ დიალოგს და შემდეგ ნაიკითხეთ:

- 1 — უკაცრავად, პიცერიაა?
— დიახ, გისმენთ.
— პიცის შეკვეთა მინდა.
— კი, ბატონო! რომელი პიცა გნებავთ?
— „კუატროსტაჯონე“.
— რამდენი ცალი?
— ოთხი საშუალო ან ორი დიდი.
— იყოს ორი დიდი. რომელ საათზე მოვიტანოთ?
— თორმეტ საათზე.
— არა, თორმეტ საათზე არა. პირველის ნახევარზე მზად იქნება.
— კარგი.
— გმადლობთ!
- 2 — ლიკამ და მამუკამ სამზარეულო შეუკვეთეს.
— მშვენიერია. მაღაზიაში ძალიან ძვირია და აქ მშვენიერ კარადებს აკეთებენ. ჩვენც შევუკვეთეთ პატარებისთვის ორ-სართულიანი

EXERCISE #9

First listen and then read:

- 1 - Excuse me, is this pizzeria?
- Yes, speaking.
- I want to order a pizza.
- Sure, Which one would you like?
- "Cuatrostajone"
- How many?
- Four-medium or two big ones.
- Two big ones. what time should we bring it?
- At 12.00.
- No, not at 12.00. It will be ready at 12.30.
- All right.
- Thank you.
- 2 - Lika and Mamuka ordered a dining room's furniture.
- Wonderful. It's very expensive in the shops, and here they make very nice cupboards. We also ordered double-deck bed for our kids.

სანოლი. შესანიშნავია.

- ბავშვებს მოსწონთ?
- კი, ძალიან.

3 — ინტერნეტით წიგნი შევუკვეთე.
— მერე? მალე ჩამოვიდა?
— კი, სამ კვირაში.
— მეც მინდა, შევუკვეთო “ვიქტორიას სეკრეტში” საზაფხულო ფეხსაცმელები.
— კარგია. მე სულ ვუკვეთავ. მშვენიერია მათი მომსახურება.

4 — რას უყურებ?
— არაჩვეულებრივ ფილმს.
— დეტექტივია?
— არა, მე დეტექტივებს არ ვუყურებ. დეტექტივებს ჩემი ძმები უყურებენ. ეს მელიოდრამაა.
— შესანიშნავია. სად იყიდე ეს “დივიდი”?
— ამერიკაში შევუკვეთე და ფოსტით ჩამოვიდა.
— კარგია, თუ ფოსტა უკვე კარგად მუშაობს.
— არ ვიცი, მე სამ კვირაში ჩამომივიდა.
— მშვენიერია.

Great.

- Do children like it?
- Yes, very much.

3 - I bought a book via the Internet.
- And? Did it arrive soon?
- Yes, in three weeks.
- Yes, I also want to buy summer shoes at “Victoria’s Secrets”.
- Good. I always order like that. Their service is very nice.

4 - What are you watching?
- Great movie.
- Detective story?
- No, I don’t watch detectives. My brothers watch detectives. This one is a melodrama.
- Wonderful. Where did you buy this DVD?
- I ordered it from America and got it here by post.
- Good, if post works well.
- I don’t know. I received it in three weeks.
- Very good.

5 —შენი გოგოები როგორ არიან? ისევ ცეკვავენ?

—კი. ქართულ ხალხურ და თანამედროვე ცეკვებს. შენები როგორ არიან?

—არა უშავთ, ახლა არდადეგები აქვთ და ყოველ საღამოს ტელევიზორთან სხედან.

—ტელევიზორის ყურება უყვართ?

—ჩემები სულ მულტფილმებს უყურებენ ხან რუსულად, ხან ქართულად.

—უი, რა კარგია.

—მეც ვჯდები მათთან ერთად, როცა დრო მაქვს, და ვუთარგმნი და ვუთარგმნი.

—ეს შესანიშნავია, მალე აღარ დასჭირდებათ თარგმნა.

—იმედია.

5 - How are your girls? Do they still dance?

- Yes. Georgian National and Modern dances. And how are yours?

- Fine. They are on holidays now and every evening they sit at the TV.

- Do they love watching TV?

- They watch cartoons all the time. Sometimes in Russian, sometimes in Georgian.

- Oh, that's good.

- I also sit with them when I have time, and translate, and translate.

- That's great. They won't need your translation soon.

- I hope so.